ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №102

თბილისი **06 სექტემბერი, 2018 წელი**

ერთის მხრივ - **ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ირაკლი ფურცელაძის** სახით და მეორეს მხრივ - **შპს „აი სი თი"** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის **დავით ვაშაკიძის** სახით, ,,"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ა(ა)იპ-ის 2018 წლის საკუთარი შემოსავალის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია - გლდანის საცურაო აუზის სერვისის მომხმარებელთა აღრიცხვა-იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის პროგრამის **მაგნიტური ბარათების** სახელმწიფო შესყიდვა, საკუთარი შემოსავლების სახსრებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

საქონლის დასახელება	რაოდ-ბა ცალი	ერთეულის ფასი ლარი	ჯამური ფასი ლარი	CPV-კოდი
დაშვების მაგნიტური ბარათი	200.00	1.20	240.00	30160000 - მაგნიტური ბარათები
		სულ	***240.00***	

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ჯამური ღირებულებაა **240,00 (ორას ორმოცი) ლარი,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული პროდუქცის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია - თბილისი, გლდანის V მ/რ, კორპ.N8-ის მიმდ. ხოლო მიწოდების თარიღი - **2018 წლის 15 სექტემბრის** ჩათვლით.

4.3. მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები მასალების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე, დირექტორის გარდა, უფლებამოსილი პირია შემყიდველის სტრუქტურული ერთეულის - გლდანის საცურაო აუზის მენეჯერი **ლაშა ნატროშვილი.**

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.2. გადახდა ხორციელდება ერთ ეტაპად - არაუგვიანეს ჩაბარებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა.
6.3. აღნიშნულზე მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ღირებულებაში აღნიშნული თანხა, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც საჭირო იქნება პროგრამული ადაპტირების შესამუშავებლად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესათანხმებლად შესრულებული სამუშაოები და მაქსიმალურად შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი შესაძლო შენიშვნები და სურვილები, რაც უნდა ჯდებოდეს სტრუქტურის, დიზაინის და პროგრამული შესაძლებლობების ფარგლებში, რაზეც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05%-ს.
8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
8.7. მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო შემსყიდველს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გასულია 30 კალენდარული დღე და

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების მინიმუმ 70% არ არის დაფარული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა არ შეიძლება მეტი იყოს ხელშეკრულების ღირებულის 50% პროცენტისა. მიმწოდებელი უფლებამოსილია ერთპიროვნულად დაადგინოს პირგასამტეხლოს ოდენობა ამ პუნქტით განსაზღვრულ პროცენტის ფარგლებში. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ შემსყიდველი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2018 წლის 31 ოქტომბრის** ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9.2. ხელშეკრულებაში შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათ) დღეში. ამის შემდეგ „შემსყიდველს" საშუალება ექნება განახორციელოს ბარათების პროგრამასთან ტესტირება და შემოწმება, თავისი ინფორმაციის განთავსების რეჟიმში. უწესივრობების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მისი გასწორება უმოკლეს ვადაში. თუ მუშაობის პროცესში „შემსყიდველის" მხრიდან ხდება წინასწარი შეთანხმებული ვარიანტიდან მნიშვნელოვანი გადახვევა და კორექტივების შეტანა, ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ვადის, ასევე ღირებულების ცვლილება, რაც „მიმწოდებლის" მხრიდან უნდა იყოს შესაბამისად ლოგიკურად დასაბუთებული. ყველაფერი წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებს.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, თუ აღნიშნული მისი მიზეზითაა გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით. ორივე მხარე იტოვებს უფლებას გაწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის ერთი კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ ხელშეკრულების გაწყვეტა მოითხოვა „შემსყიდველმა" მხარემ, ამ შემთხვევაში უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება მას უკან არ დაუბრუნდება.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. გარანტია და მომსახურება

15.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.
15.2 საგარანტიო პერიოდი განისაზღვრება აღრიცხვის სისტემის ნებისმიერ მოდელზე 18 (540 დღე) თვით
15.2.1 საგარანტიო პერიოდში მოიცავს ნებისმიერი სახის მხოლოდ მექანიკური დაზიანების აღმოფხვრას და მასში არ იგულისხმები 15.3 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური/საკონსულტაციო მომსახურება.
15.3 უფასო ტექნიკური / საკონსულტაციო მომსახურების პერიოდი განისაზღვრება 6 (180 დღე) თვით. ამ პერიოდის ათვლა იწყება მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან.
15.4. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოასწოროს/აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რომელსაც გამოავლენს საქონელი მხოლოდ სწორი ექსპლუატაციის პირობებში.
15.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ გაუმართაობა გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით.
15.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ შემსყიდველი არ უზრუნველყოფს მიმწოდებლის პროგრამისტის 24 საათიან წვდომას სერვერზე ან იმ კომპიუტერზე, სადაც დაინსტალირებულია პროგრამული უზრუნველყოფა.
გარანტია/მომსახურება პროდუქტზე ვრცელდება ყველა შემთხვევაში გარდა:
15.6.1. ნივთის კორპუსზე არ იკითხება ან ამძვრალია სერიული ნომერი;
15.6.2. მოწყობილობას აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური დეფექტი/დაზიანება;
15.6.3. დაზიანებულია ან ამძვრალია პლომბი ან ლუქი;
15.6.4. მოწყობილობა გამოიყენებოდა მისი დანიშნულების შეუსაბამო მიზნით;